

## გივი გაჩეჩილაძის თეორიული შეხედულებები ბაირონის ქართულად თარგმნასთან დაკავშირებით

დიდი რომანტიკოსი პოეტი ჯორჯ გორდონ ბაირონი (1789-1824) ქართველმა მკითხველმა, უპირატესად, ფრანგული და რუსული თარგმანების მეშვეობით გაიცნო. ამის კვალობაზე დამკვიდრდა ქართულ სალიტერატურო სივრცეში ტერმინი „ბაირონიზმი“, შესაბამისად, გაჩნდა დიდი ინგლისელი პოეტის შემოქმედების ქართულ ენაზე თარგმნის აუცილებლობა – თუნდაც შუალედური ენის მეშვეობით.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „თუ ქართველები თარგმნიდნენ ამა თუ იმ თხზულებას, ეს იმიტომ, რომ მასში ხედავდნენ და პოულობდნენ პასუხს მათვის საჭირბოროტო და სასიცოცხლო საკითხებზე, მაგრამ მთავარი ის არის, რომ უცხო თხზულების გადმოღება იყო არა მექანიკური, არამედ შემოქმედებითი გადამუშავებისა და საკუთარ გემოვნება-შეგნებასთან შეგუების პროცესი. ქართველთა შემოქმედებითმა გენიამ შეძლო ნათარგმნი ლიტერატურის ასიმილირება, თავის საკუთარ იდეურ-ესთეტიკურ შეგნებაში გადახარშვა და გადადნობა მისი ეროვნული საქმიანობის ბრძმედში“ (ალიბეგაშვილი 2017: 45, 46). ზემოთქმულის მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ ილია ჭავჭავაძის წერილი „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვის მიერ „შეშლილის“ თარგმანზედა“ (1861 წ.), რომელშიც სრულიად ახალგაზრდა შემოქმედმა ჩამოაყალიბა ლიტერატურული თარგმანის ზოგადი პრინციპები. ილია მოითხოვდა ორიგინალის ფორმისა და შინაარსის ერთიანობის შენარჩუნებას სათარგმნი თხზულებისთვის „დამახასიათებელი მხატვრული ძალისა და ენერგიის დაცვით“. მისთვის მთავარი იყო „ეროვნული გამომსახველობა ნათქვამისა“, ვინაიდან ილია ენას მიიჩნევდა არა მარტო ლოგიკურ და გრამატიკულ კატეგორიად, არამედ მხატვრულ ფენომენად, შესაბამისად, იგი მოითხოვდა მთარგმნელისგან ჭეშმარიტი მხატვრულობის დაცვასაც (გაჩეჩილაძე 1966: 91).

იმ პერიოდისთვის ევროპაში უკვე მკაფიოდ იყო ჩამოყალიბებული თარგმანის ზოგადი პრინციპები (ი. ვ. გოეთე, ფ. შილერი, ფ. შლაიარმაჟერი, თ. მომზენი და სხვ.), რომელთა თანახმად გამოიკვეთა თარგმანის ორი ტიპი: ერთი გადმოსცემდა დედნის ასლს, მაგრამ ფორმას არ იცავდა, ხოლო მეორე არსებითად იცავდა ფორმას, მაგრამ შინაარსს ნაკლებ ყურადღებას აქცევდა; საგულისხმოა, რომ არსებობდა მესამე ტიპიც, ე.წ. მკაცრი თარგმანი, რომელშიც ფორმაც და შინაარსიც მაქსიმალურად შეესატყვისებოდა დედანს და თარგმანიც გასაგები იყო მკითხველისათვის.

ქართველმა მთარგმნელებმა უპირატესობა მიანიჭეს სათარგმნი ტექსტის უკეთ მისაწვდომობას, შესაბამისად, ბაირონის თხზულებათა ქართულ ენაზე გადმოღებისას თავისუფალი თარგმანის პრინციპი შეარჩიეს.

XIX საუკუნის 90-იან წლებამდე ბაირონის ქართულ ენაზე თარგმნა, ძირითადად, გულისხმობდა ინგლისური ტექსტის შუალედური ენის მეშვეობით გადმოცემას. ქართულ ენაზე გადმოღებული ამ ტექსტების ლირსება-ნაკლოვანების შეფასება ადვილი არ არის, მაგრამ გასული საუკუნის 20-30-იანი წლებიდან ქართველი თარგმანმცოდნები მაინც ცდილობენ კრიტიკული თვალით შეხედონ წინარე ეპოქის თარგმანებს. ამ შემთხვევაში აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული საბჭოური თარგმანმცოდნების მიერ შემუშავებული პრინციპები. ამ დროისათვის უკვე ყალიბდება რუსი თარგმანმცოდნის ა. ვ. ფედოროვის თარგმანის თეორია, ხოლო XX საუკუნის 60-იან წლებში იბეჭდება ქართველი მთარგმნელისა და თარგმანის თეორეტიკოსის, გივი გაჩეჩილაძის ფუნდამენტური ნაშრომი „მხატვრული თარგმანის თეორიის შესავალი“. ამ ნაშრომმა ფართო გამოხმაურება ჰქონა იმდროიდელ საბჭოთა თარგმანმცოდნეთა შორის. უკრაინელი მწერალი და მხატვრული თარგმანის თეორეტიკოსი ალექსეი კუნდიჩი სინანულს გამოთქვამდა, რომ საჭირო იყო მთარგმნელთა საგანგებო საკავშირო ყრილობის გამართვა და ამის აუცილებლობას გივი გაჩეჩილაძის ავტორიტეტული სიტყვებით განამტკიცებდა – „არაფერი ისე მჭიდროდ არ უკავშირდება პრაქტიკას, როგორც თარგმანის შესახებ თეორიული მსჯელობა“ (კუნდიჩი 1968: 203).

გივი გაჩეჩილაძის თარგმანებსა და თეორიულ შეხედულებებს დღემდე არ დაუკარგავთ აქტუალურობა. ჩვენთვის განსაკუთრებით საგულისხმოა ბაირონის ქართულ ენაზე თარგმანების მისეული შეფასება. 1938 წელს გამოდის მონოგრაფია ბაირონზე, რომელშიც ავტორი მასშტაბურად წარმოადგენს ლორდ ბაირონის ცხოვრებასა და შემოქმედებას, მკითხველის სამსჯავროზე გამოაქვს ინგლისელი რომანტიკოსი პოეტის მისეული თარგმანები, რომლებსაც ურთავს კომენტარებს, სათაურით „ბაირონის ცხოვრებისა და შემოქმედების ქრონოლოგიური სარჩული-დან“. ავტორს მიაჩნია, რომ ეს წიგნი („ბაირონი“) ნაჩქარევად არის მომზადებული, მაგრამ ახალგაზრდა ქართველი მკითხველისათვის დიდი ინგლისელი პოეტის გაცნობის საჭიროებიდან და აუცილებლობიდან გამომდინარე, შენიშნავს: „ვიმედოვნებ, რომ ეს პატარა წიგნი გამოადგება ქართველ ახალგაზრდობას და აღუძრავს მაინც სწრაფვას დიდი ინგლისელი პოეტისაკენ, რომელიც მთელი ხმით ქართულად ჯერ კიდევ არ ამეტყველებულა“ (გაჩეჩილაძე 1938: 3). ამ შენიშვნი-დან გამომდინარეობს, რომ მონოგრაფიის ავტორს ჯერ არ ჰქონდა სათანადო შესწავლილი გასულ საუკუნეში შესრულებული თარგმანები, ანდა წაკლები ყურადღებას აქცევდა მათ, რადგან ისინი ორიგინალიდან არ იყო შესრულებული. აქ მთარგმნელის პოზიცია უფრო მოჩანს, ვიდრე თარგმანის ისტორიკოსისა.

ბაირონის XIX საუკუნეში შესრულებულ თარგმანს გივი გაჩეჩილაძე, ვფიქრობთ, ილია ჭავჭავაძის პოზიციიდან უდგება და არა XX საუკუნის მთარგმნელობით პრინციპებზე დაყრდნობით.

1950-იან წლებში გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე ქვეყნება გივი გაჩეჩილაძის წერილების სერია „ინგლისური ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნის საკითხები“, რომლებშიც ყურადღება გამახვილებულია ინგლისური ლიტერატურის ქართული თარგმანების ისტორიაზე და შეფასებულია მე-19

საუკუნეში შესრულებული თარგმანები: „წინამდებარე წერილში ჩვენ ვეხებით მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის რამდენიმე ამგვარ დამახასიათებელ ფაქტს, უპირველეს ყოვლისა, ინგლისური ხალხური პოეზიის ნიმუშებისა და ბაირონის ნაწარმოებთა თარგმანებს. აյ უნდა დავასახელოთ ორი თარგმანი: „დედოფლის აღსარება“ და „ბაირონიდამ“ (გაჩეჩილაძე 1956ა: 3).

შესავალში ავტორი შენიშნავს, რომ შექსპირის „მეფე ლირის“ ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლისეულ თარგმანამდე (1873) ინგლისურენოვან თხზულებათა უმ-რავლესობა გადმოღებული იყო რუსულიდან, რადგან არ არსებობდა ორიგინა-ლიდან თარგმნის პრაქტიკა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ძალზე დიდი იყო აღ-ნიშნულ თარგმანთა ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა: „ეს თარგმანები ემსახურებოდნენ კულტურის გავრცელებას ქართველ ხალხში, ბევრი მათგანი შესრულებული იყო მშვენიერი ლიტერატურული ენით. თავმდაბალი ქართველი მთარგმნელები, რომელთაც არ იკოდნენ დედნის ენა, მაინც ცდილობდნენ რუ-სულ ენაზე დაყრდნობით თავისი, თუნდაც მცირე, წვლილი შეეტანათ საერთო კულტურული აღმავლობის საქმეში“ (გაჩეჩილაძე 1956ა: 3).

გივი გაჩეჩილაძე განიხილავს ბაირონის ორი ლექსის – „დედოფლის აღსარება“ და „ბაირონიდამ“ – თარგმანს. ეს უკანასკნელი, თარგმანის თეორეტიკოსის აზ-რით, უნდა წარმოადგენდეს შოტლანდიური ხალხური ბალადის იმ ფრაგმენტის თარგმანს, „რომელიც ცნობილია პუშკინის ვარიანტის სახით“. თარგმანს ხელს აწერს ი. რევიშვილი და ის არ უნდა იყოს ბაირონისა. გივი გაჩეჩილაძის ვარაუდით, პუშკინის აღნიშნული ლექსი მთარგმნელს შეხვედრია გერბელის <...> წიგნში, რომელშიც სხვა ინგლისელ ავტორებთან ერთად ბაირონიც გვხვდება“ (გაჩეჩილაძე 1956ა: 3).

აღსანიშნავია, რომ გივი გაჩეჩილაძე XIX საუკუნის მეორე ნახევრის ლიტე-რატურული მოძრაობის ლიდერების, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის თარ-გმანებზე ამახვილებს ყურადღებას და ბაირონის ებრაული მელოდიების ციკლიდან ერთი ლექსის – „სტიროდეთ“ – ილიასეულ თარგმანზე ჩერდება. გივი გაჩეჩილაძე ათვალსაჩინოებს მთარგმნელის მიზანს ამ ლექსის გადმოღებისას: „ბაირონის ლექსი უპასუხებდა ქართველ მოღვაწეთა საერთო განწყობილებას და ეს თარგმანიც მიზნად ისახავდა პატრიოტული განწყობილების გაღვიძებას ქართველ მკითხველ-ში. ისიც დამახასიათებელია, რომ ასეთ მკვეთრ მიღრეკილებას პატრიოტი-სადმი ამჟღავნებდნენ სწორედ ბაირონის ლექსების პირველი თარგმანები, მაშინ, როდესაც უფრო მოგვიანო თარგმანებში გვხვდება უკვე ბაირონის ინტიმური ლირიკის ნიმუშებიც“ (გაჩეჩილაძე 1956ა: 3).

გივი გაჩეჩილაძეს მოჰყავს ილიას წერილი მეუღლისადმი, რომლიდანაც ჩანს, რომ ილიას ინგლისური ენის შესწავლისათვის ხელი მიუყვია „მხოლოდ შექსპირის „მეფე ლირის“ თარგმნასთან დაკაშირებით“. მეცნიერი შენიშნავს, რომ ილია „ზუს-ტად იმეორებს დედნის სახეთა სისტემას და, საერთოდ, თავისი შინაარსით ძლიერ ახლოა დედანთან“ (გაჩეჩილაძე 1956ა: 1-4).

ურნალ „ცისკრის“ 1863 წლის მე-2 ნომერში გამოქვეყნდა ბაირონის ლექსის „გოდება ებრაელთა“ აკაკი წერეთლისეული თარგმანი, თუმცა ანალიტიკურ ბიბ-

ლიოგრაფიაში არ არის მინიშნებული ბაირონის ავტორობა და აღნიშნული ტექსტი დიდხანს აკაკის ორიგინალურ ნაწარმოებად იყო მიჩნეული. ამის თაობაზე გივი გაჩეჩილაძე შენიშნავს, რომ „გოდება ებრაელთა“ „ნარმოადგენს ბაირონის <...> ლექსის სრულიად თავისუფალ თარგმანს“. მკვლევარი მიანიშნებს ლექსის აკაკი-სეულ ლაიტმოტივზე და წერს, რომ ქართველი პოეტის მიერ ამ ლექსის გამოქვეყნება იმავე მიზეზებით იყო განპირობებული, რომლითაც ილიას ზემოთ აღნიშნული თარგმანისა (გაჩეჩილაძე 1956ა:1-4). ორიოდე წლის შემდეგ, 1865 წელს, აკაკიმ ჟურნალ „ცისკრის“ მე-11 ნომერში გამოაქვეყნა კიდევ ერთი თარგმანი – „იეფ-თაის ასული“ (ბაირონით), რომელიც, გივი გაჩეჩილაძის მართებული დაკვირვებით, აკაკიმ საგანგებოდ შეარჩია, ვინაიდან ლექსის პატრიოტული პათოსი ზუსტად შეესატყვისებოდა თერგდალეულთა მხატვრულ-ესთეტიკურ შეხედულებებს. მკვლევარი შენიშნავს, რომ ლექსი არ უნდა იყოს ინგლისურიდან თარგმნილი, რამდენადაც „ა. წერეთელმა ინგლისური ენა არ იცოდა“ და, სავარაუდოდ, რუსული თარგმანით ისარგებლა. ამავე წერილში გივი გაჩეჩილაძე საუბრობს ანტონ ფურცელაძის მიერ თარგმნილი ლექსის, „ბაირონით“, შესახებ, რომელიც ჟურნალ „ცისკრის“ 1863 წლის მარტის ნომერშია დაბეჭდილი. აღნიშნული ლექსი გივი გაჩეჩილაძეს ბაირონის საერთო პოეტური ტენდენციების გამოხატულებად მიაჩნია, მაგრამ ამბობს, რომ იგი გადმოკეთებულია: „ბაირონის ორიგინალურ ლირიკაში ასეთი სტრიქონების შემცველი ლექსი ჩვენ ვერ ვიპოვეთ“ (გაჩეჩილაძე 1956ა:1-4).

„ლიტერატურული გაზეთის“ 1956 წლის მე-3 ნომერში გივი გაჩეჩილაძე აგრძელებს საუბარს აღნიშნულ საკითხზე. ამჯერად ის აანალიზებს იოსებ ბაქრაძის (1850-1904) მთარგმნელობით საქმიანობას.

იოსებ ბაქრაძე ერთი იმ მოღვაწეთაგანია, რომელიც შეიძლება მივიჩნიოთ ბაირონის ქართულ ენაზე ყველაზე ნაყოფიერ მთარგმნელად მე-19 საუკუნეში. როგორც მისი შემოქმედების მკვლევარი თამარ მიქაძე შენიშნავს, პოეტის მიერ თარგმნილი მასალის გამოქვეყნება ძალზე ჭირდა, რადგან ცენზურა კრძალავდა ყველაფერს, რაშიც ეროვნული ან სოციალური პროტესტის ნიშნებს ხედავდა. იოსებ ბაქრაძემ, რუსულის გარდა, სხვა უცხო ენა არ იცოდა და ამიტომ რუსულის მეშვეობით თარგმნიდა ინგლისური, ფრანგული, ამერიკული თუ სომხური მწერლობის ნიმუშებს. მთარგმნელისათვის მნიშვნელოვანი იყო დასავლეთ ევროპული მწერლობის საუკეთესო ნიმუშების ქართველ მკითხველამდე მიტანა. როგორც თამარ მიქაძე აღნიშნავს, იოსებ ბაქრაძე „თითქმის არსად გვაძლევს სიტყვასიტყვით თარგმანს. ზოგ შემთხვევაში იგი იძლევა თავისუფალ თარგმანს, ზოგჯერ კი მიყვება დედანს, მაგრამ თარგმანს აძლევს ეროვნულ იერს. პოეტი სათარგმნად ირჩევს ისეთ მხატვრულ ნაწარმოებებს, რომლებიც ახლოსაა მის სულიერ სამყაროსთან, მის იდეურ მისწრაფებებთან“ (მიქაძე 2007: 6).

XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული იოსებ ბაქრაძეს უთარგმნია ბაირონის ოცდაათამდე ლექსი, პოემები „დონ ჟუანი“ და „ჩაილდ ჰაროლდი“. მის მიერ შესრულებულმა თარგმანებმა შეადგინა უცხოელ ავტორთა „მცირე ანთოლოგია“, რომელშიც ბაირონის შემოქმედებაც შედიოდა.

ივანე როსტომაშვილის რედაქციით გამოცემულ „რუსულ-ქართულ ენციკლოპედიურ ლექსიკონში“, რომელშიც იოსებ ბაქრაძის ბიოგრაფიაა შეტანილი, ვკითხულობთ: „ბაქრაძე იოსებ ზოსიმეს ძე – ჩვენი დროის ცნობილი მთარგმნელი ბაირონისა ქართულად...“, ხოლო ბაირონისადმი მიძღვნილ სტატიაში აღნიშნულია: „ქართულს ენაზე გადმოთარგმნილია ბევრი თხზულება ბაირონისა, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ გადმოგვცემეს სავსებით ბაირონისებურს კილოს წერისას, მის შემოქმედებითს პოეზიას. ჩვენში მის უკეთესს მთარგმნელად ითვლება იოსებ ბაქრაძე“ (სალარო ... 1898: 211). ლექსიკონის შემდგენელი ნათქვამის საილუსტრაციოდ იმოწმებს ბაირონის „ჩაილდ ჰაროლდის“ მესამე გალობის ბაქრაძისეულ თარგმანს.

გაზეთ „ცნობის ფურცელში“ ვკითხულობთ, რომ იოსებ ბაქრაძეს გადაწყვეტილი ჰქონია ბაირონის თხზულებათა თარგმანების წიგნად გამოცემა: „ჩვენს პოეტს იოსებ ბაქრაძეს ერთად შეუკრებია ყველა ლექსები, და მათს შორის, სრულად „ჩაილდ ჰაროლდი“ და განზრახვა აქვს მოკლე ხანში ცალკე წიგნად დაბეჭდოს. წიგნს ჩართული ექმნება სურათი ბაირონისა და მისი ბიოგრაფიაც, ბ-ნის ი. ბაქრაძის მიერ დაწერილი“ (ცნობის ფურცელი 1897: 2); მიუხედავად ავტორის განზრახვისა, მის სიცოცხლეში ეს თარგმანები ცალკე წიგნად არ დაბეჭდილა; მხოლოდ 1938 წელს გამოიცა ბაქრაძის მიერ თარგმნილი ლექსების მცირე ნაწილი პროფესორ სოლომონ ყუბანეიშვილის რედაქციით.

გივი გაჩეჩილაძე მიმოიხილავს იოსებ ბაქრაძის სხვა თარგმანებსაც და აღნიშნავს, რომ იოსებმა, რუსულის გარდა, სხვა უცხო ენა არ იცოდა, შესაბამისად, პოემა „ჩაილდ-ჰაროლდის მოგზაურობიდან“ ამოღებული ნაწყვეტი – „ჩაილდ-ჰაროლდის სიმღერა“ (ჟ. „მნათობი“ 1871 წ. თებერვალი) დედნიდან შესრულებულად არ მიაჩნია: „თარგმანის შესრულების ხარისხი დგას იმ დონეზე, რომელსაც ჩვენ შეიძლება იმ დროისათვის საშუალო დონე ვუწოდოთ. მასში მოიპოვება პოეტური ხარვეზები, როგორიცაა ზედმეტი მარცვლები, მოუქნელი ინვერსიები, დაბალხარისხოვანი რითმები და სხვ. დედნის ლაიტმოტივი თარგმანში დაცულია უთუოდ იმ რუსული თარგმანის წყალობით, რომლიდანაცაა იგი შესრულებული“ (გაჩეჩილაძე 1956: 3). ამავე წერილში განხილულია ბაირონის „ებრაული მელოდიების“ ციკლის პატ-რიოტული ლექსი „შენ გაიარე ქვეყნის გზა ძნელი“ და დასაბუთებულია, რომ თარგმანი „ი. ბაქრაძეს ცნობილი რუსი მთარგმნელის ა. პლეშჩიევის თარგმანიდან უნდა გაეკეთებინა“. მკვლევარი აკრიტიკებს 1871 წლის უურნალ „მნათობში“ გამოქვეყნებულ „იეფთაის ქალის“ ბაქრაძისეულ თარგმანს და აღნიშნავს: „პოეტური ტექნიკის თვალსაზრისით მისი თარგმანი ბევრად დაუვარდება აკაკის თარგმანს და აკაკის თარგმანის შემდეგ მისი გამოქვეყნება <...> არ ღირდა“ (გაჩეჩილაძე 1956: 3)

ასევე უარყოფითად არის შეფასებული „დონ-უუანის“ ერთ-ერთი ფრაგმენტის თარგმანი: „იგი ტექნიკურად ნაკლოვანია – მეტად მძიმე და მოუქნელი, უნდა ვიფიქროთ, რომ იგი მაინც თავის დროზე აქტუალურად ჟღერდა: საერთოდ ტირანის წინააღმდეგ, სიტყვის თავისუფლების დასაცავად მიმართული ამ ნაწყვეტიდან ცენზურას ამოუგდია მთელი სტრიქონი და მრავლისმეტყველი წერტილებით შეუვსია“ (გაჩეჩილაძე 1956: 3)

გივი გაჩეჩილაძე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ორიგინალის ტექსტზე, ბაირონის დიდოსტატობაზე, მისთვის დამახასიათებელ ლირიკულ გადახვევებსა და მსუბუქი ირონიით შესრულებულ პოეტურ რემარკებზე (გაჩეჩილაძე 1956ბ: 3). თარგმანმცოდნე ცდილობს, ერთგვარად გაამართლოს ბაქრაძისეული მთარგმნელობითი პრინციპი: „როგორც ჩანს, ის ცდილობდა თავისი რუსული მოდელის ერთგული ყოფილიყო“, მაგრამ იქვე დასძენს, რომ თუ შინაარსის გადმოცემის თვალსაზრისით ბაქრაძე გარკვეულ წარმატებას აღწევდა და აძლიერებდა მკითხველის ინტერესს, ლირიკული ხერხების გამოყენებაში აშკარად შეზღუდული იყო.

გივი გაჩეჩილაძეს მიაჩნია, რომ ქართულ თარგმანში პოეტი ჩვეულებრივ მიჰყვება ფორმულას: „aabbcdd ან ababccdd“ და რამდენადაც პოემა „დონ შუანი“ არ იყო თარგმნილი ორიგინალიდან, ეს აძნელებდა სალექსო ზომათა ურთიერშეფარდების გარკვევას.

იოსებ ბაქრაძეს „ჩაილდ-ჰაროლდის“ თარგმნის ფაქტს გივი გაჩეჩილაძეს მთარგმნელის გაბედულებად მიიჩნევს – იოსებ ბაქრაძემდე ხომ ვერავინ გაბედა ამ ტექსტის ქართულ ენაზე გადმოტანა (თუმცა მოგვიანებით პოემის ნაწყვეტები უთარგმნიათ სილოვან ხუნდაძესა და კონსტანტინე ჭიჭინაძეს), თანაც მან ორიგინალის „ცხრასტრიქონიანი სპენსერული სტროფები“ თარგმანში შეცვალა ათმარცვლიანი, რგასტრიქონიანი ტაეპებით, რომლებიც ჯვარედინად გარითმა (მხოლოდ სტროფების ორი უკანასკნელი სტრიქონი ირითმება მიჯრით) (გაჩეჩილაძე 1956ბ: 3).

ნერილის დასასრულს გივი გაჩეჩილაძე აღნიშნავს, რომ ბაირონი ის ინგლისელი პოეტი იყო, რომელიც ყველაზე მეტ ყურადღებას იქცევდა მოცემულ პერიოდში, მაგრამ რაოდენობრივად ყველაზე მეტი მისი ნაწარმოები სწორედ ი. ბაქრაძეს პქონდა თარგმნილი (გაჩეჩილაძე 1956ბ: 3).

გივი გაჩეჩილაძისეული კვლევა XIX საუკუნის ბაირონის მთარგმნელთა ლირსება-ნაკლოვანებათა შესახებ საგულისხმოა შემდეგი თვალსაზრისით:

1. მიუხედავად იმისა, რომ XIX საუკუნის პრესაში ფრაგმენტულად გაიელვებდა შენიშვნები ბაირონის ქართველ მთარგმნელებზე, მეცნიერული შესწავლის საგნად მათი ნალვანი მაშინ ვერ იქცა;

2. ბაირონის ქართულ ენაზე თარგმნის მეცნიერული შესწავლა XX საუკუნეში დაიწყო; ბაირონის ქართულად ამეტყველებულმა ტექსტებმა სწორედ გასული საუკუნის 30-იან წლებში მიიქცია ახალგაზრდა მთარგმნელისა და თარგმანმცოდნის, გივი გაჩეჩილაძის ყურადღება;

3. გივი გაჩეჩილაძე XIX საუკუნის თარგმანებს აფასებს ილია ჭავჭავაძის მთარგმნელითი პრინციპების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს თარგმანის ფორმისა და შინაარსის ზედმინევნით ზუსტად გამოცემას;

4. გივი გაჩეჩილაძის აზრით, ბაირონის თხზულებათა თარგმნისას დაშვებული ხარვეზები და უზუსტობანი გამოწვეულია არა იმდენად შუალედური ენიდან თარგმნის გამო, არამედ თარგმანის ქართულ რეალობასთან მისადაგების სურვილით.

## **დამოწმებანი:**

**ალიბეგაშვილი... 2017:** ალიბეგაშვილი, გ. დუღაშვილი, ე. მლებრიშვილი, თ. თარგმანის ისტორია. თბილისი: „ქართული უნივერსიტეტი“, 2017.

**გაჩეჩილაძე 1938:** გაჩეჩილაძე, გ. ბაირონი. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1938.

**გაჩეჩილაძე 1966:** გაჩეჩილაძე, გ. მხატვრული თარგმანის თეორიის შესავალი. თბილისი: „განათლება“, 1966.

**გაჩეჩილაძე 1956ა:** გაჩეჩილაძე, გ. „ინგლისური ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნის საკითხები“. ლიტერატურული გაზეთი. 1956 წ. 6 იანვარი.

**გაჩეჩილაძე 1956ბ:** გაჩეჩილაძე, გ. „ინგლისური ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნის საკითხები“. ლიტერატურული გაზეთი. 1956 წ. 20 იანვარი.

**კუნძიჩი 1968:** კუნძიჩ, Օ. *Мастерство Перевода*. Москва: „Советский писатель“, 1968.

**როსტომაშვილი 1898:** როსტომაშვილი, ი. სალარო ცოდნისა. რუსულ-ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონი, ნ. II. თფილისი, 1898.

**ცნობის ფურცელი 1897:** „ახალი ამბავი“. გაზ. „ცნობის ფურცელი“. 1897 წ. 4 ოქტომბერი.

*Tinatin Sikharulidze*

(Georgia, Tbilisi)

## **Givi Gachechiladze's Theoretical Views on Georgian Translations of Byron's Poetry**

### **Summary**

**Key words:** Byron, Nineteenth-century Georgian translations, Givi Gachechiladze.

The term “Byronism” gave the Georgian translators opportunity to translate Byron’s works into Georgian, even if it was necessary to use the other language as a “mediator” in their translations. There were a few translations of Byron’s works (S. Aleksi- Meskhishvili, M. Tumanishvili) in the nineteenth century till 1850. However, some of the Georgian translators were able to translate Byron’s works into the Georgian language properly and effectively. Among the principal Georgian translators of that period figure Ilia Chavchavadze, Akaki Tsereteli, Ioseb Bakradze, Mamia Gurieli and so on.

Ilia Chavchavadze made an attempt to develop the way of translation- what and how should have been carried out in the translated form; moreover, there should have been kept the form and content of the original thoroughly. Thus, his pieces of translations were praised as among translators as well as in the literary society.

Famous Georgian translator and scholar, Givi Gachechiladze published the monograph about Byron in 1938, where he tried to show an English poet’s life and creativity to the Georgian

reader; Givi Gachechiladze, as a translator and the outstanding theoretician made not only the fundamental work entitled “Introduction to Artistic Translation”, but also even some publications in which he gave a critical assessment of the translations created in the nineteenth century by Georgian translators. In these publications (“Literaturuli Gazeti”, 1956 N1,3) G. Gachechiladze emphasized the Leaders of literary movement, such as Ilia Chavchavadze, Akaki Tsereteli.

Givi Gachechiladze highlighted one of the most prolific Georgian translators, Ioseb Bakradze (1850-1904), who translated up to thirty verses of Byron, a satiric poem - “Don-Juan” and a narrative poem – “Childe- Harold”. Ioseb Barkradze did not know any languages except the Russian language; therefore, he translated Byron’s works through the Russian translations.

In Givi Gachechiladze’s opinion, Byron’s translations, which were created in the 19<sup>th</sup> century, focused on the readers to draw their attention and arouse their interests in Byron. In this way the Georgian readers acquainted with Byron’s works. However, all these translations inevitably lack the power of the original in terms of literary translation.

Givi Gachechiladze was not only a poet, translator, but he was also a prominent Georgian theoretician of literary translation, he was one of the first ones, who assessed nineteenth-century Georgian translations.